# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 6 შაბათი, 9 იანვარი 1910 წ. № 6



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი გარის ქ. N 1.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

### სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

### კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.


**კნ. ნინო ზაქარიას ასული და თავადი ლუარსაბ პაატის ძე ნიჟარაძეები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 იანვარს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულისა, საყვარელ შვილის ქალთა მეორე გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფედ ნამყოფის კნიაჟნა

## მასხურა ლუარსაბის ასულის ნიჟარაძის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დილის 11½ (1—108—1)

სვ ნეთში, თავის მამულში, გარდაიცვალა მის უდიდებულესობის კაზაკთა ლეიბ გვარდიის პოლკის პოლკოვნიკი

## თავადი თარხან (ივანე) დადეშქელიანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმები. პანაშვიდები დანიშნულია კვირას, ათ იანვარს, ამა წელსა, შუადღის თორმეტ საათზე: ტფილისში—ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და ქ. ქუთაისში—გაბრიელ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში. (2—110—1)

10 იანვარს, კვირას, ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## ყარამან ბესარიონის ძის დათეშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **მართა სტეფანეს ასული დათეშიძისა** შვილებითურთ. (2—ვ.—2)


**ქართული ნარ** ## ავლაბრის თეატრი
მოდგენა № 16.

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

**შაბათს, 9 იანვარს, 1910 წელს**

ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## ყომარბაზის ცხოვრება

დრამა 5 მოქმ., თარგ. ა. პაჭიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**

რეჟისორი **ვ. ურუშაძე.** გამგე თ. **ნასიძე.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 10 იანვარს, 1910 წელს,**

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **კ. ნ. შათირიშვილის** რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება:

## ყაჩაღები

ტრაგედია 5 მოქმ. შილლერისა, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სცენის-მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 21 იანვარს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

წარმოდგენა № 26. ## ქართული თეატრი
წარმოდგენა № 26.

დილით **კვირას, 10 იანვარს 1910 წელს.** დილით

◀ **გასტროლი ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილისა** ▶

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ცნობილი პიესა გუცკოვისა.**

## ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქმედებად თარ. ი. ბაქრაძისა.

**ურიელ აკოსტას როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი დილის 12 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „მარგარიტა გოტიე“.

რეჟისორი **ვლ. ა.-მესხიშვილი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**ზალა „ბირჟა“** (ერევნის მოედანთან)

**კვირას, 10 იანვარს, 1910 წ. საქველ-მოქმედო მიზნით გაიმართება:**

## ს ა ღ ა მ ო

I. წარმოდგენილი იქნება. **„ტიმოთეს ლეღვი“** ვოდ.-ხუმრობა 1 მოქმ. ი. გრიშაშვილისა.

II. **„საკონცერტო განყოფილება“** სიმღერები, ლექსები, სცენები და კუპლეტები.

III. **„ც ე კ ვ ა-თ ა მ ა შ ი“**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი **ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. კოლხიდელი,** ვილიამსი, მ. მამულოვი; ბ-ნნი ა. კავსაძე, ვ. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, შ. ტატიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, მ. ხადუროვი, გ. დავიდოვი, და კ. დადვაძე.

დაუკრავს მუსიკა, საზანდარი, ზღრო გიტარისტ-მანდოლინებისა და როიალი.

ბილეთების ფასი: 1 მ. მოსწავლეთათვის და ქალებისათვის 50 კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

(2—1) საღამოს დიასახლისი **კნ. ბ. გ. ანდრონიკაშვილისა.**



## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

შაბათს, 9 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტი კაცები და ქალები, **ე. ნიკიტინა, ლეონსი, მისსრუტსი** და სხვანი. სპორტი ჟოკეებისა. დასასრულ წარმოდგენილი იქნება დიდი ბალეტი **„სნეგუროჩკა“**. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

დაწვრილებით პროგრამებში.

**ანონსი:** კვირას, 10 იანვარს, ორი წარმოდგენა დილით და საღამოთი.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ს.—12) გამგე **გამსახურდია.**

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის**

## ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე



## მათრახი

და სალამური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიათ გაეგზავნება
## ახალი კრებული

კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მან.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლად შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს, პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 მან. 50 კაპ. დანარჩენი 2 მან, 50 კაპ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან გამოდის გადიდებულ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვაძე, ჯანჯის-კარელი, ეშმაკი, ვოლდემარი, ზომლეთელი, თურდოს-პირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნ , ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა** და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი. Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе. (11—6.—11)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ.

## კვირეული საპოლიტ. სალიტერ. და სამეცნ. ჟურნალ
## საქართველოს მოამბეზე

ფასი ერთის წლით 4 მ. 50 კ., ექვსი თვით 2 მ. 50 კ., უცხოეთში 6 მ.

მე-11 ნომრიდგან დაიბეჭდება მოპასანის საუკეთესო რომანი „ცხოვრება“.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянства № 117.

ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნოს: Головинскій пр. домъ Манташева номера „МУХРАНИ“, Семену Кипіани. (5—3)

## ვაგზლის კერძო საავადმყოფო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—242)

## ტფილისის კერძო საავადმყოფო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**დამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ, და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ზ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სხოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

საავადმყოფოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—6.—80)

## საავადმყოფო
### ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**მ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

საავადმყოფოთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—00)

## ექიმი კბილისა ქუთაისში
### ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—338)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—71)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

## ჩ ა რ ე ქ ო ვ ი

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გმგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—9

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი ქუთაისში
### კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—გვ.—114)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—30)

## ექიმი კბილისა
### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს, შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

## ექიმი ა ნ დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## საავადმყოფო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—6.—78)

## ექიმი ვასილ წერეთელი
### ქ უ თ ა ი ს შ ი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—88)

## ექიმი ვ. დ ა მ ბ ა შ ი ძ ე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი კაკიტელაშვილი
### ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—6.—21)

## ქუთაისში ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან და აგრეთვე **ცისტოსკოპის და ურეტროსკოპის** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროთერაპია— ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—3)

## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაღრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—99)

## ექიმი კბილისა
### ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## მცხეთის დედათა მონასტრის 4-კლას. ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ

პარასკევს, 8 იანვრისათვის დანიშნული საღამო და კონცერტი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო

## გადაიდო

კვირას, 24 იანვრისათვის.

ნაყიდი ბილეთები ისევ გამოდგება. საღამოს დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საღამოს დიასახლისი

(3—3) **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

**მეოთხე წიგნზე**

## ● განდეგილი ●

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის **ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.**

ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით **გაუმჯობესებული იქნება**

ყოვლის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—0)

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინ გამოვთქვით ეჭვი, რომ შეიძლება იმ საშინელ უბედურებაში, რომელიც ვერის დაღმართზე მოხდა, ბრალი „მეისრეს“ დასდონ. არ გვეგონა, თუ ჩვენი ეჭვი ასე მალე გამართლდებოდა. გუშინდელ „ტიფლისკი ლისტოკ“-ში სწერია: „ვატმანმა არ მიიღო მხედველობაში ის, რომ ქვიშა რელსებიდან ჩარეცხილი იყო და ვაგონი ძალიან ჩქარა გაუშვა“. ამასვე ვკითხულობთ „კავკაზ“-ში. ამრიგად, დამნაშავედ გამოჰყავთ ვატმანი, ის ადამიანი, რომელიც საშინლად დაშავებულ-დასახიჩრებული სიცოცხლეს ებრძვის საავადმყოფოში, და იმას-კი აღარა კითხულობენ, თუ რად იყო ჩარეცხილი რელსებიდან ქვიშა? ყველა ერთბაშად მოწმობს, რომ წვიმიან ამინდში ვერის დაღმართზე წინად ქვიშის დასაყრელად ექვსი და შვიდი კაცი მუშაობდა, ამ დღეს-კი, როგორც გუშინაც ვწერდით, მხოლოდ ორი კაცი იდგა ამ საქმეზე. აი, რად იყო ჩარეცხილი რელსები. სპეციალისტთა კომისიამ დაწვრილებით დაათვალიერა დამტვრეული ვაგონი და ნათლად გამოარკვია, რომ ვატმანს ტორმოზიც მოუჭერია, სხვა ღონისძიებაც უხმარია, მაგრამ ვაგონი მაინც ვერ გაუჩერებია, ვერ გაუჩერებია კიდევ იმიტომ, ალბად, რომ რელსებზე მუშა-ხელის ნაკლებობის გამო საკმაო ქვიშა არ ეყარა...

ყურები გამოგვიჭედეს, რომ ტფ. ტრამვაის ზარალი აქვს და საჭიროა ეკონომიაო. ამ ეკონომიისთვის გამოგზავნეს ახალი დირექტორი, რომელმაც ხელი მიჰყო „ეკონომიას“, და სადაც ექვსი კაცი იყო საჭირო, იქ ორი დააყენა. ყველამ ვიცით, რა დღე დააყენა ახალმა დირექტორმა ვატმანებს, კონდუქტორებსა და ტრამვაის სხვა მოსამსახურეებს. ყოველსავე ამას ეკონომიით ამართლებდნენ, თუმცა კაცს არ ჩაუხედნია ტრამვაის დავთრებში და არ უნახავს—რა შემოსავალი და ხარჯი აქვს. ზარალი ყოვლად შეუძლებელია, ისეთი დიდი მოძრაობაა ტფილისში. რუსეთში ვერც ერთ სხვა ქალაქში ვერა ნახავს კაცი ისეთ დიდ მოძრაობას და გაჭედილს ვაგონებს, როგორც აქ. მაინც ზარალზე ლაპარაკობენ. გარდა ამისა, როცა კი ტრამვაის გამოსყიდვაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, უსახელო საზოგადოებამ აღარ იცის რა ჰქნას, ისეთი წინააღმდეგია ამისა. თუ ზარალი აქვს, ასე რაღად ებღაუჭება ტრამვაის? არა, ზარალი-კი არა, მოგება აქვს უსახელო საზოგადოებას, მაგრამ უნდა, რომ ეს მოგება გააორკეცოს. ამისთვის არას დაგიდევს და არავის არაფრად აგდებს, არც მუშებს და არც მცხოვრებთ, როგორც ეს უცხოელ კაპიტალისტებს სჩვევიათ...

გასაკიცხია ტფილისის ქალაქის თვით-მართველობის მოქმედება. ა. ხატისოვმა მთელი თავის მჭერმეტყველება დახარჯა დირექტორის ბატაილის ქება-დიდებაში და ბელგიაშიაც დეპეშა აფრინა—საუცხოვო კაცი გამოგვიგზავნიათო. ამ „საუცხოვო“ კაცმა-კი თავის მოქმედებით რამდენიმე კაცი შეიწირა. მცხოვრებთა ინტერესების დაცვაც ასეთი უნდა!..

# დეპეშები
პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.
8 იანვარი.

**არჩევნები ინგლისში**

**ლონდონი.** ნაშუაღამევის პირველ საათამდის აირჩიეს 129 უნიონისტი, 118 ლიბერალი, 44 ნაციონალისტი და 23 მუშათა პარტიის წევრი. უნიონისტებმა მოიგეს 57, ლიბერალებმა 9, მუშათა პარტიამ ერთი ადგილი. უნიონისტები გავიდნენ ნოტინგრემის ოლქში, სადაც აქნობამდის მუშათა პარტიის წევრები გადიოდნენ.

**ლონდონი.** აირჩიეს 158 უნიონისტი, 131 ლიბერალი, 53 ნაციონალისტი და 26 მუშათა პარტიის წევრი. უნიონისტებმა მოიგეს 70, ლიბერალებმა ათი ადგილი.

**ლონდონი.** პროვინციებში მომხდარ არჩევნებიდან გამოირკვა, რომ უნიონისტებს ბევრი ახალი მომხრე შეუძენიათ. უნიონისტებმა ხელში ჩაიგდეს 18 ახალი ადგილი. შოტლანდიაში ლიბერალები იმარჯვებენ. 1906 წლის არჩევნებთან შედარებით ლიბერალებმა შოტლანდიაში გაცილებით მეტი ხმა მიიღეს. ლიბერალებმა უელსში მოულოდნელად 2 ადგილი დაჰკარგეს. ამან ცოტა არ იყოს ლიბერალები ჩააფიქრა, რადგან წინდაწინვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უელსში, მათ მეტოქე არავინ გამოუჩნდებოდათ. დღეს 46 ოლქშია არჩევნები დანიშნული.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** ურმიის ტბაზედ ქარიშხალის დროს დაიღუპა ნავთის მოტორიანი ბარკასი. ურმიის ტბაზედ ერთად-ერთი ნავთის მოტორიანი ბარკასი დადიოდა. დაიღუპა სამი კაცი. ორი წელიწადია რაც ურმიაში ხმელეთით მიმოსვლა მოისპო და ბარკასის დაღუპვის შემდეგ ურმიასთან მისვლა სულ შესწყდა. თავრიზსა და ურმიას შორის გაფუჭებული ტელეგრაფი ჯერაც არ შეუკეთებიათ.

**თავრიზი** აგრაში, ეფრემმა მისაშველებლად გაიგზავნა ბაგირ-ხანის და შუჯაუდ-დოულეს რაზმები. დიდი თოვლებისა და მუხარამას თვის გამო რახიმ-ხანის საწინააღმდეგო მოქმედება შეჩერებულია. აგარისა და ყარადაღის სოფლების მცხოვრებლები მთავრობას ემხრობიან. შახსევანების მეთაურებსა და ყარადაღის ხანებში შუღლი ჩავარდა. ამიტომ მთავრობას იმედი აქვს, რომ რახიმ-ხანის მიერ გამოწვეულ არეულობას მშვიდობიანის გზით დაამბოლავებს.

**სამხრეთ-ამერიკა**

**მონტევიდეო.** ოფიციალურად იტყობინებიან: მართალია ზოგიერთ ადგილებში ხალხი აღელდა, მაგრამ მაინც ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ხალხი არეულობაში ჩაერიოსო. მთავრობას იმედი აქვს, რომ არეულობას მალე ჩააქრობს. შესაძლებელია, რომ არეულობის მეთაურებს არგენტინა უწევდეს დახმარებასა.

**მესსინა.** აღმოაჩინეს კომეტა, რომელიც ყოველ დღე სჩანს. ახლად აღმოჩენილი კომეტა გალლეის კომეტის ტოლაა.

**ლონდონი.** გეტტოარიგის მაღაროში დაიღუპა 8 კაცი.

**ვენა.** „ნოიე-ფრეიე-პრესსე“ ებება ერენტალის და „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტთან ნალაპარაკევს და სწერს: ავსტრო-ჰუნგრეთი სცდილობს, რომ რუსეთთან მეგობრული კავშირი იქონიოს. მართალია ავსტრო-ჰუნგრეთი გერმანიასთან შეურყეველის კავშირით არის შეკრული, მაგრამს ეს ხელს არ შეუშლის რუსეთთანაც მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს. ავსტრიაში არც ერთი პარტია არ არსებობს, რომელსაც რუსეთთან ომი უნდოდეს. რუსეთში კი ბევრნი არიან ომის მომხრენიო.

**პარიზი.** სასამართლომ განიხილა რუს მარტინოვის საქმე. ბრალდებოდა ასაფეთქებელ მასალათა შენახვა. მარტინოვის სახლში 1908 წელს აფეთქება მოხდა. სასამართლომ მარტინოვს სამი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ბერლინი.** ქალაქ ზიგმარინგენიდან იუწყებიან, დიდი წვიმების გამო მდინარეები ნაპირიდან გადმოვიდა. ქალაქი სულ წყალშია.

**შანხაი.** ჩინეთის წარმომადგენლობითი კრებების დელეგატები პეკინში ჩავიდნენ და პარლამენტის მოწვევა მოითხოვეს. დელეგატებმა სახალხო კრებები გამართეს. სახელმწიფო საბჭოს ჯერაც არ გადაუცია დელეგატების პეტიცია პრინც-რეგენტისთვის.

**რუსეთი**

**ნოვოჩერკასკი.** პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულის მკეთებლების ორგანიზაცია. დააპატიმრეს 3 კაცი.

**პლოცკი.** 7 შეიარაღებულმა ბოროტ-განმზრახველმა დობრანში გაცარცვა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. სასიკვდილოდ დასჭრეს საერობო დარაჯი.

**სევასტოპოლი.** ზღვაში გადაბრუნდა მეთევზეების ნავი. დაიღუპა 5 მეთევზე. ერთი მეთევზე მესამე დღეს გადაარჩინეს. მეთევზეს ნავისთვის წაევლო ხელი და სამი დღე ესე გაეტარებინა ზღვაში.

**ელაბუგა.** სამი შეიარაღებული ბოროტ-განზრახველი თავს დაეცა მოქალაქეების გამგეობას. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 150 მანეთი, პასპორტის ბლანკი, ბეჭედი და მიიმალნენ.

# შავი-ქვა
(შემდეგი*)

როგორც ვსთქვით, ქვის ფასი თვით ჭიათურაში წელს მთლად დაეცა, $4^1/_2$ კაპ. თითქმის $3^1/_2$ კაპიკამდე ჩამოვიდა. ჭიათურელი მრეწველნი უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდნენ. ქვის მოთხოვნილება დიდია, მაგრამ მათ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლიათ, რადგან მათ თვითონ ქვა 7 კაპიკამდე უჯდებათ. ჭიათურის პლატფორმებზე 60—70 მილიონი ფუთი ქვა აწყვია წინა წლებში დამუშავებული. რაც უნდა დიდი მოთხოვნილება იყოს ქვისა, ჭიათურის რკინის გზა 30—35 მილიონზე მეტს ვერ გადიტანს და ამნაირად ორი წლის სამყოფი ქვა უკვე დამუშავებულია. ამ ჟამად მაღაროებში მუშაობა არა სწარმოებს, გარდა უცხოელთა დიდი ფირმებისა. ამით სარგებლობენ იქაური მსხვილი ექსპორტერები და ადებენ ასე დაბალ ფასს ქვას ჭიათურაში. წვრილ მრეწველებს გასაქანი გზა აღარა აქვთ: ან უნდა გაასაღონ ქვა დაბალ ფასებში ან კიდევ პლატფორმებზე უნდა დასტოვონ. მაგრამ როდემდის? პლატფორმებზედაც დიდხანს ქვის დატოვება შეუძლებელია, ესეც დიდს ხარჯს მოითხოვს. ამასთან სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჭიათურაში ქვას ფასი ეკარგება. როცა ქვა დიდხანსა რჩება ღია პლატფორმებზე, სხვა და სხვა ატმოსფერიულ მოვლენის გავლენით (ქარი, წვიმა, თოვლი, ყინვა და სხვა) იმტვრევა, ბევრი სილა და ტალახი ერევა და ღირსება ეკარგება. შეიძლება ამ ქვის გაჩენის მიზეზთაგანი რკინის გზის საშუალებების უქონლობა იყოს, მაგრამ სანამ ის საკითხი, საჭირ-ბოროტო საკითხად არის, ეს გარემოებაც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ქვის დამუშავების დროს. ქვის უზარ-მაზარი გორები არ უნდა რჩებოდეს ღია საყრობებზე.

ქვის წარმოებაშიაც არავითარი წესრიგი არ არის დაცული. მაღაროების დამუშავება უმეტეს ნაწილად ეგრედ წოდებულ „პოდრიაჩიკების“ ხელშია. ისინი არ დაეძებენ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებას და დაინტერესებულნი არიან მხოლოდ იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი ქვა გამოჰგლიჯონ მიწას ცოტა ხანში. ამუშავებენ იმისთანა ქვას, რომელიც უფრო ადვილი დასამუშავებელია, სხვას სტოვებენ. ხშირად შეჰხვდებით ჭიათურაში მიტოვებულ მაღაროს, რომელიც ხელახლა დასამუშავებელია. ასე იხრდება ძვირფასი სიმდიდრე. ქვის დამუშავების ტეხნიკაც ისეთია ეხლაც, როგორც ამ 25—30 წლის წინად იყო. მაშინ კიდევ შეიძლებოდა ქვის დამუშავება პრიმიტიულის წესით, რადგან ქვა ბევრი იყო და მხოლოდ კარგ ქვასა ჰქონდა ფასი. ეხლა კი, 30 წლის მუშაობის შემდეგ, ჭიათურაში ბევრი ქვა აღარ არის, ამასთან ეხლა ყოველნაირ ქვას გასავალი აქვს, თუ იგი წესიერათ გაირჩევა და ძალად მიწა და სილა არ შეერევა, რაშიაც ხშირად ვარჯიშობენ ჭიათურელი მრეწველები.

რადგან შავი ქვა ამნაირ პირობებშია, მისი დამუშავება უფრო რაციონალურ ტეხნიკურ საშუალებებით უნდა ხდებოდეს. განვითარებულ სამთო-მადნო ტეხნიკის დანიშნულება ის არის, რომ ქვა რაც შეიძლება ეკონომიურად დამუშავდეს, როგორც ფრანგები იტყვიან „en bon pére de tamille“. ამ მხრით დიდი განსხვავებაა დიდ უცხოელ ფირმებსა და წვრილ მრეწველთა შორის. დიდ ფირმის მაღაროში (მაგალითად ფორვუდი და ამხ.) ყველაფერს ნახავთ, რასაც თანამედროვე განვითარებული ტეხნიკა მოითხოვს: ქვის დამუშავების გაუმჯობესებულ მეთოდს, ქვის მექანიკურად გამოტანას მაღაროებიდან და აქედან პლატფორმაზედ, მუშაობის ორგანიზაციას, მაღაროს განათებას, გაშრობას, ვენტილიაციას, ქვის კლასიფიკაციას, ანალიზს და სხვას. ამ დიდ ფირმებს ყველა ამის გამო ქვა უფრო იაფად უჯდებათ, ვიდრე წვრილ მრეწველებს, რომელთაც ასეთი ტეხნიკური გაუმჯობესება თავიანთ წარმოებაში არ შეუტანიათ.

ქვის გაყიდვაც თვით ჭიათურაში უმეტეს ნაწილად „პოდრიადჩიკების“ ხელშია. უცხოელი ფირმები, რომელნიც წარმოებას ეწევიან, ექსპორტიორებიც არიან და რომელნიც საკმარისს ქვას თვითონ არ ამუშავებენ, წვრილ მრეწველთაგან ყიდულობენ და ხშირად ჩარჩების დახმარებით. მათ კარგად აქვთ შესწავლილი უცხოეთის ბაზარი. [illegible] ქიათურის პლატფორმაზე [illegible] წლიწადს აუარებელი ქვა ეყრება, და როდესაც მსოფლიო ბაზარზე ქვის ფასი სხვა და სხვა მიზეზით გამო დაიწევს, ისინიც ერთი ორად დასწევენ ხოლმე ქვის ფასს ჭიათურაში. რა ენაღვლებათ მათ კარგად იციან, რომ ბოლოს წვრილი მრეწველები იძულებულნი იქნებიან გაჰყიდონ ქვა. წელს მაინც ქვის სპეკულიაცია უმაღლესად განვითარდა. უცხოელი ფირმები სარგებლობენ დღევანდელ კრიტიკულ მომენტით. ამ მდგომარეობამ შეიძლება კიდევ დიდხანს გასტანოს, ე. ი. იმ დრომდე, სანამ ეს უზარმაზარი ქვა ან სულ არ აღება პლატფორმებიდან ან საგრძნობლად არ შესუსტდება.

ამნაირად, წარმოების სრული დეზორგანიზაცია, ქვის დამუშავების და გადაზიდვის პრიმიტიული ტეხნიკა, კომერციულ სისტემის უწესრიგობა—აი, სხვათა შორის, ის მიზეზები, რომელნიც სულს უხუთავენ ჭიათურის მრეწველობის განვითარებას ჯერჯერობით ამის წინააღმდეგ არაფერი გაკეთებულა, რადგან წვრილმა მრეწველებმა არაფერი იციან თანამედროვე რთულ ორგანიზაციის და ტეხნიკისა.

ჭიათურაში ყველა მრეწველია, ვინც ნახევარ ან ერთ ქცევა მიწას სჩიჩქნის ან „პოდრაჩიკ“ აჩიჩქნინებს. ამ ბოლო დროს ეს ნორმა სამ ქცევამდის აიყვანეს, მაგრამ ესეც ვერ მოსცხებს მალამოს ჭიათურის წარმოების ნორმალურ ზრდას. წვრილი მრეწველები პროფესიონალურ მრეწველებად არ ჩაითვლებიან. ისინი უმეტესს ნაწილად სოფლიდან ჩამოსული დაღარიბებული თავად-აზნაურობაა; ზამთარში მრეწველობენ, ზაფხულში მეურნეობენ და ასე ორი კურდღლის დაჭერას ლამობენ, მაგრამ ვერც ერთს ვერ იჭერენ ამნაირ მრეწველებთან მუშებიც პროფესიონალები არ არიან ისინი ხან მუშაობენ ხან არა, რადგანაც მათი აღების წარმოებაც მუდმივი არ არის. 300 წვრილ მრეწველში ვერა ნახავთ ვერც ერთს, რომელსაც ინჟინერი ან ტეხნიკოსი ჰყავდეს წარმოების გამგედ. წვრილი მრეწველები სპეციალისტებს სიახლოვეს არ იკარებენ თუ ხან-და-ხან მიჰმართავენ სახელმწიფო შტეიგერებს, მხოლოდ პლანების ასაღებად. მაგრამ ამ ბოლო დროს პლანების აღებიდანაც განთავისუფლება, მოინდომეს და ამნაირ შუამდგომლობით სამთო მადნო სამმართველოს მიჰმართეს თითქოს პლანების აღებას თვით წარმოების ინტერესები არ მოითხოვდეს! წვრილი მრეწველები ხან და ხან ჯგუფებსაც

*) იხ. „დროება“ N 5.

# აღზრდის მიზნები
IV*)

1. ყველაზე უწინარეს თვით ის ადგილი, რომელიც ადამიანს მსოფლიო ისტორიაში თავიდანვე უჭირავს, აშკარად ჰყოფს იმ დიად მნიშვნელობას, რომელსაც განუყრელად ატარებს მისი გონება და გონებრივი განვითარება. ადამიანი, როგორც ერთი მოვლენათაგანი, თავის გონების ძალით უპირდაპირებს თავის თავს მთელს მსოფლიოსა. ეს დაპირდაპირება მალე წინააღმდეგობად ხდება და ეს წინააღმდეგობა კი ბოლოს და ბოლოს ბრძოლად იქცევა ადამიანსა და გარე ბუნების შორის. ადამიანი ილტვის, თავისთვის აშკარად აჰხადოს მთელი ბუნება ყველა თავის ფარულის ძალით. იგი მიილტვის, მის გარე მდგომი **ნაცადი** მსოფლიო (რომელიც, როგორც ასეთი, ბოლოს და ბოლოს ერთი მხრით რეზულტატია მისის პსიხიკურ ფუნქციებისა, მაგრამ რეზულტატი შეუმცნებლად წარმოშობილი) შემცნობილი, მის ბასრ გონებისათვის საჭვრეტი გახადოს. იგი ისწრაფის, ფარდა ახადოს ბუნების ძალთა სიდიადეს, რომ თავის მიზანთათვის გამოსადეგად აქციოს, დღემდის სასტიკი მოპირდაპირე დღეს სასიამოვნო და სასარგებლო საშუალებად გარდაჰქმნას. ადამიანს სურს, ბუნება შეიმცნოს. ეს შემეცნება გარეშე ბუნებაზედ გაბატონებაა და ამგვარად შემეცნება **ძალაა**. მამათმთავარი ინგლისის ახალ ემპირიზმისა—**ბეკონი** ამ თვალსაზრისით ზომავდა შემეცნებას. იგი სცდებოდა, როდესაც შემეცნების მხოლოდ ამ მხარეში ჰჭვრეტდა მის ერთადერთ მნიშვნელობას, სცდებოდა, რადგან ავიწყდებოდა, რომ ჩვენი ინტელექტუალური მოთხოვნილება არა მარტო პრაქტიკული მოთხოვნილებაა, რომ იგი თავის თავად სრულებით **უინტერესოდ** წარმოიშვა, როგორც დამოუკიდებელი ღირებულება ადამიანის არსისა და რომ ამიტომ შეუძლებელია ჩვენ იგი თავიდანვე მხოლოდ რაიმე პრაქტიკულ ინტერესს დაუქვემდებაროთ. შემეცნების პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ შედეგია მისი განვითარებისა. ამიტომ ბეკონის შეცდომა **შედეგის არსათ გადაქცევაში** მდგომარეობს. ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჩვენთვის შედეგი გონებრივ განვითარებისა. ამიტომ იგი ფრიად საყურადღებო მომენტია ინტელექტუალურ განვითარებისა წარმოუდგენელია ხალხი, წარმოუდგენელია ერი, რომელიც მოკლებული იყოს ინტელექტის განვითარებას და იმავე დროს რაიმე ყურადღების ღირსი, რაიმე მნიშვნელობის მატარებელი მსოფლიო ისტორიაში. აშკარაა ამიტომ, რომ გონებრივ განვითარების ეს მხარე ის უმთავრესი მიზანია, რომლისაკენაც უნდა მისწრაფოდეს ყოველი ერი, ყოველი კერძო ადამიანი. მე მეტსაც ვიტყვი: გონება უმნიშვნელოვანესი მომენტია ადამიანის პსიხიკაში: იგი შემოქმედი ელემენტია, ამიტომ პოტენციალურად უსაზღვრო. მისი განვითარება უმთავრესი შინაარსია მთელ კულტურულ განვითარებისა, და მაშ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ გონების განათლება აღზრდის ერთმიზნად იქმნეს აღიარებული!

მაგრამ გონებრივ განვითარებას მარტო ეს ზოგადი მხარე არ ახასიათებს. მისი დადებითი მხარენი ურიცხვნი არიან. მათ შესახებ ბევრი თქმულა და არა ნაკლები დაწერილა. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით, უფრო მნიშვნელოვანს, უფრო შედეგით მდიდარს.

2. ავტორიტეტის უსაზღვრო ბატონობა ერთ-ერთი აუცილებელი შედეგია გონებრივი განუვითარებლობისა. ინტელექტუალურად ჩამორჩენილ ადამიანისთვის ძვირად თუ რამე არსებობს ავტორიტეტის გარეშე. მისი მდგომარეობა მონობაა, მაგრამ მონობა ყველაზე უსაშინელესი, ყველაზე უფრო სამარცხვინო, ყველაზე უფრო შემბღალველი ადამიანის ღირსებისა. იგი შებოჭავს ადამიანის ბუნების უმნიშვნელოვანეს მხარეს: მის შემოქმედებით გონებას. ამით ისპობა ის, რაც უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის, რაც ერთგვარ აბსოლუტათა ხდის მას, რაც ახალ მსოფლიოს—კულტურულ მსოფლიოს აქმნევინებს მას და მით არსებულს ამდიდრებინებს. იგი მონობა სპობს ადამიანს, როგორც ასეთს. მოსპეთ ავტორიტეტი, და ადამიანის გონება კიდევ ალაპარაკდება, ადამიანი ისევ ადამიანად იქცევა, მისი გააბსოლიუტებისკენ ლტოლვა ისევ ძლიერის ტემპით იმოქმედებს: კულტურა სწრაფის ნაბიჯით განაგრძობს წინსვლას. საშუალო ისტორიის ნიშანდობლივი თვისება ავტორიტეტის უსაზღვრო ბატონობაა; მისი აზროვნება — ავტორიტარული აზროვნებაა. ახალი ისტორიაკი ავტორიტეტის შესუსტებით იწყება, და განთავისუფლება აზროვნებისა ავტორიტეტის ბატონობისაგან შინაარსია მთელის ახალ ისტორიისა. ავტორიტეტის დამხობა აზროვნებაში ამგვარად დიად მნიშვნელოვანია. მაგრამ რა ასუსტებს ყველაზე უფრო ძლიერად ავტორიტეტს? უწინარეს ყოვლისა სწორედ, **გონების განვითარებაა** ის ძალა, რომელიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება ავტორიტეტთან ბრძოლაში, იგი ყველაზე უფრო აუძლურებს და ბოლოს და ბოლოს სპობს ავტორიტეტს. ამისი განსაკუთრებული დამტკიცება ზედმეტია, ვინაიდან ვისთვის შეადგენს საეჭვო შეხედულებას ეს დებულება? ამგვარად ავტორიტეტის შესუსტება აზროვნებაში და თანდათანობითი გაბატონება გონების ავტონომიისა,—აი, ის ნათელი მხარე, რომელიც გონებრივ განვითარების უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს.

3. სინამდვილის ანუ, უკეთ, ჭეშმარიტებას ძიებაში და სამართლიან მოქმედებაში შეუძლებელია ადამიანმა თავის მიზანს მიაღწიოს, თუ იგი მკვლევარი და მომქმედი სუბიექტიურის თვალსაზრისით და მხოლოდ სუბიექტიურით განიხილავს მოვლენებს, შეაფასებს მოქმედებებს. ობიექტიური აზროვნება უპირველესი პირობაა ჭეშმარიტების აღდგენისა; ობიექტიური შეფასება ერთად-ერთი წყაროა, რომლიდანაც გამომდინარეობს სამართლიანი მოქმედება. სუბიექტივობა ამგვარად გარდუვალი დაბრკოლებაა, რომელიც გზაზე ელობება ადამიანის განვითარებას. უკრიტიკო, შეუმცნობელი სუბიექტივობა კი ერთბაშად დამყარებულია მოვლენათა და მდგომარეობათა საკუთარ თვისებების შეუმცნებლობაზე. მოსპეთ ეს შეუმცნებლობა და მყის მოისპობა უკრიტიკო სუბიექტივობაც. ეს აშკარა ჭეშმარიტება შინაარსია კანტის გენიალურ ფილოსოფიისა. იგი გვეუბნება, რომ გონებრივი განვითარება ის საშუალებაა, რომელიც ნათელსა ჰფენს მოვლენათა და მდგომარეობათა საკუთარ თვისებებს, ამით ძირიანად აღმოფხვრის შეუმცნობელ სუბიექტივობასა და ადამიანის მსჯელობას მეტს ობიექტივობის ძალს დააჩენს. ადამიანის ობიექტივობა ამგვარად მესამე ნათელი მხარეა გონებრივ განვითარებისა.

4. გონებით განუვითარებელ ადამიანისთვის მთელი ბუნება მოულოდნელ და საშინელ მოვლენათა დაუშრეტელი წყაროა. მისი ცხოვრების წინსვლის მიმდინარეობა რაღაც საიდუმლოებით არის მოცული. მთელი არსებობა მისთვის რაღაც უაზრობა და უმიზნობაა. ამით იბადება და ნოყიერდება ის ნიადაგი, რომელზედაც ადვილად აღმოცენდება ხოლმე ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა—ეს ძველი შეურიგებელი მოპირდაპირე ყოველ კულტურულ წინსვლისა, ადამიანის თავისუფალს, შეუშფოთებელ არსებობისა. გონებრივი განვითარება კი ადამიანისთვის ნათელსა ჰფენს ყოველგვარ მოვლენასა. მისთვის იგი მიზეზობრივ იხსნება, და ამიტომ ადამიანი ერთ რიმე კანონს უქვემდებარებს მას. ამით ცრუმორწმუნეობას ნიადაგი ეკარგება, იგი სჭკნება და ბოლოს ძირიანად ისპობა. ადამიანის არსებობა კი სამაგიეროდ იდუმალობის ბატონობას ხელში უსხლტება და საკუთარ ფეხზე სდგება.

აი, დაახლოვებით ყველა ის უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც გონებრივ განვითარების ერთად-ერთობას ყველასათვის ნათელსა ჰყოფს და რომელიც ამასთანავე წყაროდ იქცევა, რომლიდანაც გადმოსჩქეფს ცალმხრივი გატაცება გონებრივ განვითარებითა. სწორედ ეს მომენტებია, რომ ეგრედ-წოდებული „განმანათლებელნი“ გაიტაცა და განუსაზღვრელი ინტელექტუალიზმი ერთად-ერთ მართალ მსოფლმხედველობად განაცხადებინა. მაგრამ განა მარტო „განათლების“ ეპოქას ახასიათებს გადამეტებული ინტელექტუალიზმი? იგი სისხლითა და ხორცით შეარსებია ჩვენს დროსაც. უკიდურეს ინტელექტუალიზმის ღრმა რწმენით, გონებრივი განვითარება ყოველგვარ ბედნიერების დამყარებელი ძალაა; გონებრივ განვითარების ზრდა, ამისდამიხედვით, კაცობრიობის ბედნიერების გაფართოება და გაღრმავებაა. რუსსო ამ მოძღვრების წინააღმდეგ ამხედრდა და საკვირველის გატაცებით მეო-

*) იხ. „დროება“ N 5.

აარსებენ, მაგრამ განა წარმოების გასაუმჯობესებლად? სრულიადაც არა. ერთდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ შეეძლოთ ერთი. პასუხის მგებელი იყოლიონ რამდენიმე მაღაროსთვის. ვინ არიან ეს პასუხის-მგებლები? უმეტეს ნაწილად იმისთანები, რომელთაც სამთო ტეხნიკისა არა გაეგებათ რა. მათი პასუხის-მგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ მაღაროებში უბედური შემთხვევა მოხდება და მუშა დაშავდება, ისინი მრეწველების ნაცვლად სამთო-მადნო სამმართველოს წინაშე პასუხს აგებენ. მაგრამ პასუხის მგებლობასაც თავიდან ადვილად იშორებენ, რადგან მოგეხსენებათ, ყოველთვის „მეისრე“ გამოდის დამნაშავე. მომხდარა ისიც, რომ უბედურ შემთხვევის დროს მაღაროში მომკვდარი მუშა კლდიდან ხევში გადაუგდიათ და პასუხის-მგებლობა თავიდან აუშორებიათ. (იხ. „Труды съѣзда за 1907 г.,“ გვ. 7.)

ასეთ მრეწველებს არ შეუძლიანთ ტეხნიკურ გაუმჯობესების შეტანა თავიანთ წარმოებაში. ქვის რაციონალური წარმოება მოითხოვს ქვის ეკონომიურად დამუშავებას, იმისს გაწმენდას, კლასიფიკაციას, ანალიზს, მექანიკურ ტრანსპორტის საშვალებით გადაზიდვას და ბევრ რამეს. კაპიტალისტურ წარმოების ზრდა ისეთ ეკონომიურ პირობებსა ჰქმნის, რომ ჭიათურის წვრილმა მრეწველებმა ყოველივე საშუალება უნდა იხმარონ მსხვილ წარმოების განსავითარებლად ან უნდა მიატოვონ ჭიათურა. ამის ნიშნებს ეხლაცა ვხედავთ: ამ ბოლო დროს ბევრმა ქართველმა მრეწველმა გაჰყიდა თვისი წარმოება უცხოელებზე: უკანასკნელ წელსაც, კრიზის შედეგით იძულებულნი, ჰყიდიან თავიანთ მაღაროებს უცხოელებზე.—ამნაირად ხელიდან გვეცლება ერთად ერთი ჩვენი ქვეყნის მსხვილი წარმოება. ქართველმა მრეწველებმა თავიანთის უვიცობით უკვე მოამზადეს ნიადაგი უცხოელების მონოპოლიის გასამაგრებლად ჭიათურაში. ასე და ამ რიგად, ერთის მხრით ქართველი თავად-აზნაურობა ტერიტორიას ჰყიდის უცხოელებზე, მეორეს მხრით ქართველი ინდუსტრიალები ერთად ერთ ნაციონალურ წარმოებას თავიანთის უვიცობით უცხოელებს უგდებენ ხელში...

**Mineur.**

(დასასრული იქნება)

# კიდევ ბ-ნ გვაზავას

ბ-ნი გვაზავა მაინც თავისას არ იშლის და კიდევ ცხარობს, თუმცა იმის მეორე წერილში ამ სიცხარეს ისეთი კადნიერი ხასიათი აღარა აქვს, როგორც პირველში ჰქონდა, კიდევ მეტი: ბ-ნი გვაზავა ღრმა მწუხარებასაც გამოსთქვამს თავის პირველ წერილის კილოს გამო. მოსაწონია, როდესაც ადამიანი თავის შეცდომას გულწრფელად აღიარებს. მაგრამ ბ-ნი გვაზავა მხოლოდ კილოზე ლაპარაკობს, დანარჩენში კი ისევ ჯიუტობს და რიხით გაიძახის: ფაქტიური მხარე ჩემი წერილისა არავის დაურღვევია, არსებითად ჩემი შენიშვნების სიმართლე ყველამ მიიღოვო. ახირებული და სიმართლეს მოკლებული წარმოდგენაა! ჩვენ არსად არ დავსთანხმებივართ ბ-ნ გვაზავას, ვერც დავეთანხმებოდით, ვინაიდან ის მართალი არ არის, და რომ დავეთანხმებოდით, მაშინ ხომ არც საპასუხო წერილს დავსწერდით.

მაგრამ გავიხსენოთ ბ-ნ გვაზავას წერილი და ჩვენი საპასუხო მცირე შენიშვნა, გავიხსენოთ, თუ რაში გამოვეკამათეთ ბ-ნ გვაზავას.

**პირველი** იყო კილო, ის კადნიერი კილო, რომლითაც გაჟღენთილია მთელი პირველი წერილი ბ-ნ გვაზავასი. ჩვენ დავგმეთ ეს კილო და აღვნიშნეთ, რომ ამ მხრივ ბ-ნი გვაზავას წერილი ყოველგვარ ლიტერატურულ ზრდილობას არის მოკლებული. ეხლა თავის მეორე წერილში თვით ბ-ნი გვაზავა მწუხარებას გამოსთქვამს ამ კილოს შესახებ. მაშასადამე, არა ჩვენ დავეთანხმეთ ბ-ნ გვაზავას, არამედ ის დაგვეთანხმა ჩვენ.

**მეორე** იყო აზრი ბ-ნ გვაზავასი, თითქოს პროფ. მარრი, მეცნიერი კი არა, რაღაც შარლატანი იყოს. ჩვენ ამაზე ვუპასუხეთ, რომ პროფ. მარრი ნამდვილი მეცნიერია და ამასთან მეტად სერიოზულ შრომების ავტორი და, თუ ეს ბ-ნმა გვაზავამ არ იცის, ეს მხოლოდ მისი სირცხვილია. ეხლა კი თვით ბ-ნი გვაზავა ამბობს, რომ პროფ. მარრს დიდი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერების წინაშე, რომ პროფ. მარრს თავის გამოკვლევებით გაკვირვებასა და აღტაცებაში შეუძლიან მოიყვანოს „არა მარტო „დროების“ რედაქცია“ (აქ, ალბად, დიდი ენა-მახვილობაა!). მაშასადამე, ბ-ნი გვაზავა ეხლა უკვე სხვა აზრისაა პროფ. მარრზე, ვიდრე წინად იყო. აქაც არა ჩვენ დავეთანხმეთ ბ-ნ გვაზავას, არამედ ის დაგვეთანხმა ჩვენ.

დარჩა **მესამე** საკამათო საგანი—ეს აზრი ბ-ნ გვაზავასი, თითქო პრ. მარრი თავის მეცნიერულ გამოკვლევების საშუალებით განზრახ სცდილობდეს დაამციროს საქართველო და მისი წარსული, რომ ამით ასიამოვნოს სომხებს. ჩვენ ამაზედაც ვუპასუხეთ, რომ ეს აზრი შემცდარია, რომ ბ-ნი გვაზავა ალბად ზერელედაც არ იცნობს პროფ. მარრის მოღვაწეობას და შრომებს, თორემ ეჭვსაც არ შეიტანდა მის სიყვარულში საქართველოსადმი. საბუთებიც მოვიყვანეთ ამ სიყვარულისა და ბოლოს, შორს რომ არ წავსულიყავით ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, დავასახელეთ სულ უბრალო, ყველასათვის ადვილად მისაწვდომი, პატარა წიგნაკები პროფ. მარრისა, სადაც აშკარად გამოსჭვივის ეს სიყვარული.

საუბედუროდ, ეს შემცდარი აზრი შესახებ პრფ. მარრის სიძულვილისა საქართველოსადმი ბ-ნ გვაზავას არც ეხლა შეუცვლია. განვიხილოთ მაშ ის საბუთები, რომელიც მას მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად. ასეთი ვითომდა საბუთი ბ-ნ გვაზავას აქვს სამი: ორი მოყვანილია პირველ იმის წერილში და მ. ჯანაშვილისაგან არის ნასესხები, ერთიც—მესამე—ბ-ნმა გვაზავამ ეხლა დაუმატა, თავისით.

**პირველი საბუთი** ეკუთვნის ისტორიისა და ლინგვისტიკის გამოკვლევათა მეთოდს. თუმცა ბ-ნი გვაზავა თავის მეორე წერილში გაიძახის, მე არქეოლოგია და ლინგვისტიკა კი არ მაინტერესებს, არამედ ნამდვილი ცხოვრებაო, მაგრამ თავის პირველ წერილში ის მაინც შეეხო ლინგვისტიკას და რამდენიმე მაგალითის მოყვანაც კი სცადა პროფ. მარრის გამოკვლევებიდან. ეს სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ბ-ნი გვაზავა კი თავის მეორე წერილში გაიძახის, რომ მას ამ დარგში სპეციალური ცოდნა არა აქვს. აი, სწორედ ამაზედ ვამბობდით, რომ ისტორიისა და ლინგვისტიკის თანამედროვე მეთოდების ცოდნაა საჭირო იმისათვის, რომ სასაცილოდ აიგდო ადამიანმა პროფ. მარრი და მისი მეცნიერული შრომებიო. ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია გვესაყვედურებინა ბ-ნ გვაზავასათვის, რომ ის სპეციალისტი არ არის ისტორიისა და არქეოლოგიაში. ეს მას მხოლოდ წარმოუდგენია. ჩვენ მარტო იმას ვამბობდით და ვიმეორებთ კიდეც, რომ როდესაც ადამიანს ცოდნა არა აქვს რაიმე დარგში, როგორც ბ-ნ გვაზავას ისტორიასა, არქეოლოგიასა და ლინგვისტიკაში, მაშინ მან ამ საგნის შესახებ ხმა უნდა ჩაიკმინდოს და არა კადნიერად სიცილი აიტეხოს ცნობილ მეცნიერის გამოკვლევის მეთოდების შესახებ, როგორც ამას სჩადის ბ-ნი გვაზავა.

**მეორე საბუთი** ბ-ნ გვაზავასი ეხება რუსთაველს და მის „ვეფხის ტყაოსანს“. ბ-ნ გვაზავას წარმოუდგენია, რომ რუსთაველისათვის დამამცირებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს პროფ. მარრის მიერ გამოთქმული აზრი, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ სიუჟეტი სპარსულიდან არის ნათარგმნიო. რა ნახა აქ სამარცხვინო რუსთველისათვის და სამწუხარო ჩვენთვის ბ-ნმა გვაზავამ, თუგინდ ეს აზრი მართალიც იყოს და როდისმე დამტკიცდეს კიდეც? ნუ თუ ბ-ნ გვაზავას ჰგონია, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ ჩვენთვის უმთავრესად ფაბულით არის საინტერესო? ჩვენ კი გვგონია, რომ რუსთაველის გენიალურ პოემაში ჩვენთვის ძვირფასია არა ფაბულა, არამედ ის აზრები, რომელიც მასშია გამოთქმული მე-XII საუკუნეში, აზრები, რომელნიც დღესაც, მე-XX საუკუნეში, სავსებით არ არის განხორციელებული და მთელი მოწინავე კაცობრიობის იდეალებს წარმოადგენს; რომ რუსთაველის პოემაში ჩვენთვის ძვირფასია ის შესანიშნავი ფორმა, რომელშიდაც ჩამოყალიბებულია შედარებით უბრალო სიუჟეტი, ის მაატვრული ნიჭი, რომელიც გამოიჩინა უკვდავმა შოთამ. განა ფაბულით განიზომება მხატვრულ ნაწარმოების მნიშვნელობა? მაშ გიოტეს „ფაუსტი“ არაფრად ღირებულა, რადგან მისი სიუჟეტი ნასესხებია; მაშ არაფრად ღირებულა დიდებული შექსპირი, რომელსაც თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ფაბულა აქვს ნასესხები? არაფრად ღირებულა... მაგრამ აღარ განვაგრძობთ. კიტა აბაშიძისა არ იყოს, „ხელოვნებაში სრულიად უვიცი უნდა იყო და ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა ჰქონდეს კაცს“, რომ სიუჟეტის სესხებით დააფასოს მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, რათა სურს ბ-ნ გვაზავას გზა დაუხშოს მეცნიერს ჭეშმარიტების კვლევა-ძიებაში? რათა სურს რაღაც შუათანა საუკუნეთა ბორკილებით შებოჭოს ამ კვლევა-ძიების და ფაქტების შესწავლის შედეგად გამოთქმული აზრი, თუგინდ ეს აზრი ქართველების თავმოყვარეობისათვის რაღაც არა სასიამოვნო იყოს და ძველ ტრადიციონურ შეხედულებას არღვევდეს? ნუ თუ ბ-ნი გვაზავა ამით ქართველთა ამაღლებას ფიქრობს? ნუ თუ მასა ჰგონია, რომ რაღაც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს? ჰეროსტრატეს წარმოდგენაა!

გადავიდეთ ეხლა ბ-ნ გვაზავას **მესამე საბუთზე**. ეს საბუთი ახალია. პირველ წერილში ამ საბუთზე კრინტიც არ იყო დაძრული, ბ-ნმა გვაზავამ ის მხოლოდ ეხლა დაუმატა, ალბად, პროფ. მარრის წიგნაკის წაკითხვის შემდეგ, და უნდა მოგახსენოთ, რომ რომ არ დაემატებინა—უკეთესს იქმნდა, რადგან ეს საბუთი მეტად ახირებულია. ბ-ნი გვაზავა უსაყვედურებს პროფ მარრს, 1801 წლის მანიფესტის მოყვანის დროს რათ არ მოიხსენიე ის, რომ ალექსანდრე პირველმა რამდენჯერმე მოითხოვა სახ. საბჭოს, ხელახლად განეხილა საქართველოს შეერთების საკითხი. ახირებული პრეტენზიაა, მეტი რომ არა ვსთქვათ! თავის მესამე წერილში ბ-ნი გვახავა ალბად უსაყვედურებს პროფ. მარრს, რათ არ მოიხსენია თავის მოკლე განხილვაში საქართველოს ისტორიისა კიდევ რაიმე ფაქტი. ეს კი იმის მიზეზია, რომ ბ-ნ გვაზავას ალბად დავიწყებია, რომ პროფ. მარრის წიგნაკი, რომელზედაც ბ-ნი გვაზავა ლაპარაკობს, საქართველოს ვრცელ ისტორიას ანდა თუგინდ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს კი არ წარმოადგენს, არამედ—პოლემიკური წერილია, ცნობილ ვოსტორგოვის წინააღმდეგ მიმართული, და ამიტომ მასში ყველაფრის მოთავსება საქართველოს ისტორიიდან ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ კიდევ დავუმატებთ, რომ პროფ. მარრის წიგნაკში კიდევ ბევრი ფაქტი არ არის აღნიშნული საქართველოს ისტორიიდან. მაგრამ განა ეს რასმეს ამტკიცებს? სრულიადაც არაფერს ანდა, უკეთ რომა ვსთქვათ, ამტკიცებს, მაგრამ იმას, რომ პროფ. მარრს, გარდა მეტად სერიოზულ მეცნიერულ შრომებისა, მოკლე პოლემიკურ და კარგად დასაბუთებულ წერილების წერაც მშვენივრად ეხერხება.

მაგრამ კმარა: პასუხი მეტად გაგვიგრძელდა, ვინაიდან ანბანურ ჭეშმარიტების მტკიცება გაგვიხდა საჭიროდ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან ერთი რამ კიდევ არ აღვნიშნოთ ბ-ნ გვაზავას წერილში—ეს ის აია ლიტერატურული კილო, რომლითაც ბ-ნი გვაზავა ლაპარაკობს. რა სიტყვები არა აქვს ნახმარი: „სისულელე“, „тупое недомысліе“ და სხვა. აბა ასეთი სიტყვები ზრდილობიან წერილში რა მოსატანია? ანდა რად სჭირდება ბ ნ გვაზავას ასეთ სიტყვების ხმარება? ნუ თუ იმისათვის, რომ შინაარსის სიღარიბე დაჰფაროს და ამ შინაარსის სიმჩატე ვითომდა გააძლიეროს? გვგონია, მართლაც ასე უნდა იყოს. ამის დამამტკიცებელ საბუთებს კიდევ ვპოულობთ ბ-ნ გვაზავას წერილში. რა სიტყვები და წინადადება არ არის იქ ნახმარი: „პსიხოლოგიური პლიუსი“, „ნაციონალურ ორგანიზმის დადამბლებულ ნაწილის გალვანიზაცია“ და კიდევ ბევრი სხვა. აკლია მხოლოდ გალვანიზაციასთან—ფარადიზაცია, არსონვალიზაცია, ელექტრეტონი და სხვა, მაგრამ იმედია ბ-ნი გვაზავა შემდეგში მოიხმარს ამაებს.

მხოლოდ ერთი კი არ შეგვიძლიან არ ვურჩიოთ ბ-ნ გვაზავას. პროფ. მარრზე, მის მეცნიერულ შრომებზე და მის მოღვაწეობაზე წერილების წერას თავი გაანებოს, ვინაიდან წელ ზევით ვერ ახტება და სასაცილო კი გახდება.

**ახალი.**

---

რე უკიდურესობა გვიანდერძა: გონებრივი განვითარება ბედნიერებას კი არა, უბედურებას ამყარებს,—ამბობს იგი და ძლიერის სიმახვილით კრიტიკის ქარცეცხლში ავლებს ინტელექტუალიზმს. ნიცშე,—თანამედროვე ევროპის სულიერ მდგომარეობის ტონის მიმცემი გოლიათი,—ფილისტრობასა სწამებს ინტელექტუალიზმს და საზოგადოდ გონების განვითარების მოტრფიალეთ. ტოლსტოი არსებით რუსეთში რუსსოს ზაირალს აღადგენს და ომს უცხადებს გონების კულტურას.

უკვე ზემოდ ჩამოთვლილი მომენტები გონებრივ განვითარებისა თავიდანვე შეუწყნარებელ-ჰყოფენ ამ მოაზროვნეთა მოძღვრებას. მაგრამ ამასთან იგინი სრულებით არ ამტკიცებენ უკიდურეს ინტელექტუალიზმის უტყუვრობას. იგინი განა იმას გვეუბნებიან, რომ გონებრივი განვითარება ადამიანის ბედნიერებას ამყარებს? სრულებითაც არა! ან ვინ იტყვის, რომ ნიცშე, რომელიც გონებრივად დიად განათლებული ადამიანი იყო, ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, ან კიდევ გიოტეს ფაუსტი? მაგრამ უკიდურესი ინტელექტუალიზმი მარტო ამაში კი არა სცდება! იგი უარჰყოფს აგრეთვე გრძნობისა და ფანტაზიის მნიშვნელობას და ადამიანის არსს მხოლოდ გონებით შემოფარგლავს. ეს რომ შემცდარი შეხედულებაა, ამას ამტკიცებს თუნდ ამ წერილის დასაწყისში მოყვანილი ანალიზი ადამიანის პსიხიკისა. განა ადამიანი მარტო აზრთა მატარებელი არსია? განა გრძნობა ნაკლების სიძლიერით მოქმედებს მასში? შოპენჰაური ხომ ძლიერი მოაზროვნე იყო! განა ამიტომ მისი ცხოვრება მის მოძღვრებას შეესაბამებოდა, ან რუსსოს შვილების აღზრდა მის პედაგოგიურ თეორიას? აქაც სცდება უკიდურესი ინტელექტუალიზმი, რომელიც განსაკუთრებულის ძლიერებით მოქმედებდა რუსეთშიდა ჩვენშიაც და რომელიც ეხლაც მარტოდმარტო ბატონობს დღევანდელ სკოლაში და ურიცხვ ზიანსა ჰქმნის. ინტელექტუალიზმი სცდება იმაშიც, რომ იგი ივიწყებს იმ სუსტ მხარეებს, რომელნიც განუყრელ მოსდევენ გონებრივ განვითარებას. მაშ განვიხილოთ ეს უკანასკნელნი.

1. ესთეტიური ტკბობა მით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ადამიანის მთელ არსებას ამოქმედებს. შემეცნების პროცესი, გონების აქტი კი ერთბაშად ობიექტიური უნდა იყოს. ამიტომ შემეცნებითი მუშაობის დროს ადამიანის კერძო, ინდივიდუალური ბუნება სდუმს, მისი გრძნობა დახშულია; იქ ყველაზედ უფრო ძლიერად ობიექტივობა იჩენს ხოლმე თავს. ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ნიუტონის და გალილეის თეორიები სრულებით უძლურნი არიან. მათ წარმომშვებთა პიროვნებაზე რაიმე გარკვეული პასუხი მოგვცენ. ეს პირველი სუსტი მხარეა ინტელექტუალურ განათლებისა.

II. ინტელექტუალური განათლება **ცალმხრივ** ანვითარებს გონებას, მაშინ როდესაც იგი ფანტაზიას და გრძნობას აჩლუნგებს, ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა კი უდავოა ჩვენთვის. თანამედროვე პსიხოლოგია აშკარად ამტკიცებს, რომ ყოვლად შეუძლებელია რაიმე ნებისყოფა (Villensakt), რაიმე მოქმედება, თუ ჩვენი პსიხიურ ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი—**გრძნობა** რაიმე მონაწილეობას არ იღებს იმ აქტში; იგი გვეუბნება, რომ გრძნობა უმთავრესი მოტივია ნებისა, რომ იგი და არა რაიმე აზრი წარმოდგენა ან ცნება **ამოძრავებს** მას. მაშ ნუ გვიკვირს, თუ ცალმხრივ გონებრივ განვითარებას აუცილებელ თანამგზავრად მოსდევს გადაუწყვეტლობა და უმოქმედობა. ეს დებულება ადვილი გასათვალისწინებელია, იგი უდავოა, რადგან ყველა დაგვეთანხმება, რომ ამა თუ იმ მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც მე უნდა ჩავიდინო, ურიცხვ მოტივის მოყვანაა შესაძლებელი, მაგრამ არა ნაკლებ საგულისხმო და ძლიერ მოტივების დასახელება შეიძლება ამავე მოქმედების სასარგებლოდ. ეს მუდმივი აწონდაწონვა კი გადაუწყვეტლობასა და უმოქმედობას იწვევს, იგი აქტივობის უნარს უკარგავს ადამიანს და პასსიურ არსადა ჰქმნის.

ინტელექტუალური განვითარება ამგვარად ორპირი იარაღია: ერთი მხრით იგი მდიდარია ფრიად საყურადღებო ღირსებით, მაგრამ მეორე მხრით იგი მავნებელია, როდესაც იგი ცალმხრივ მიმართულებას იღებს. აქედან ნათლად ხასიათდება ის დამოკიდებულება, რომელიც აღზრდას ინტელექტუალურ განათლებასთან უნდა ჰქონდეს. ამ უკანასკნელის ნათელი მხარეები მის აღზრდის აუცილებელ მიზნად აქცევენ, მაგრამ მისი უარყოფითი მხარენი იმავე დროს გვაფრთხილებენ, როდესაც გვასწავლიან, თუ რაოდენად საშიშია, რაოდენად მავნებელი ინტელექტუალურ აღზრდის გადამეტებული კულტი. იგინი გვიმხილებენ შესანიშნავი პედაგოგის ჰერბარტის შეცდომას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინტელექტუალურ განათლებას მხოლოდ მორალურ განვითარების საშუალებად და არა დამოუკიდებელ მიზნად სახავდა; მაგრამ იმავე დროს იგინი გვიმტკიცებენ, თუ რამდენად შეუწყნარებელია ცალმხრივი ინტელექტუალიზმი, რამდენად შემცდარია ინტელექტუალურ განათლების ერთად-ერთ მიზნად დასახვა. აღმზრდელმა დიად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ინტელექტის განვითარებას, ესე იგი „სწავლას“, მაგრამ არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მისი მოსწავლე ადამიანია, და ფანტაზია და გრძნობა აუცილებელ და საჭირო ძალებს წარმოადგენენ იმის ბუნებაში. ერთის სიტყვით, ინტელექტი გრძნობასთან უნდა შევარიგოთ და მათ შორის წარმოშვებული ანტაგონიზმი ძირიანად აღმოვფხრათ. თუ როგორაა ეს შესაძლებელი, ეს უმეტეს ნაწილად აღმზრდელის პედაგოგიურ ტაქტზე, მის თავის მოვალეობისადმი სიყვარულზე და უნარზეა დამოკიდებული. ამიტომ აქ აშკარათ ვღვიარებთ, რომ აღმზრდელთ სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული. თეორეტიული პედაგოგიკა მათ მხოლოდ მიზნებს დაუსახავს. ამ უკანასკნელთა სისრულეში მოყვანის საკითხი დაე პრაქტიკულმა ან თანამედროვე ექსპერიმენტალურმა პედაგოგიკამ გადასწყვიტოს.

**დ. უზნაძე.**

(დასასრული იქნება)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **შეკითხვა უბედურების შესახებ.** საზოგადოება ძალიან აღაშფოთა 5 იანვარს ვერის დაღმართზე მომხდარმა უბედურებამ. ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა შეკითხვა შეიტანოს საბჭოში უბედურების მიზეზების გამოსარკვევად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საბჭოს 11 იანვრის სხდომაზე ვრცელი მოხსენება წარუდგინოს აღნიშნულ უბედურების შესახებ.

✦ **ადგილი დაეთმო კახეთის გზას.** ტფ გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ ამას წინად შუამდგომლობა აღსძრა ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის წინაშე, რომ კახეთის რკინის გზას ნავთლუღში სადგურისათვის დაეთმოს ადგილი. ტფ. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს შუამდგომელობა და მიიღო რა სახეში ის გარემოება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისისათვის კახეთის რკინის გზას, დაადგინა, ქალაქის ადგილებიდან თავად-აზნაურობას კახეთის გზისთვის დაეთმოს ნავთლუღში 2555 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. ამ ადგილის დათმობის შესახებ მოხსენებას გამგეობა საბჭოს წარუდგენს ორშაბათს, 11 იანვარს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, ათ იანვარს, სახალხო სახლში ბ-ნი ძაევი წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე „ალკოგოლიზმი და დანაშაულობა“. ლექციის შემდეგ გაიმართება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მარცინკევიჩი, ბ-ნნი კოპანაკოვი, მაკსიმოვი, გოფმანი. დასაწყისი დილის თერთმეტ საათზე.

✦ **მკვლელობა.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 8 იანვარს ქუთაისში აუარებელ ხალხის თვალწინ უცნობს მოუკლავთ თავად დადეშკელიანის ტყის გამგე. მკვლელი მიმალულა.

✦ **მიწის-ძვრა.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, 8 იანვარს ქალაქ შემახაში ნაშუაღამევის $12^{1}/_{2}$ საათზე მიწის-ძვრა მომხდარა. არავინ დაშავებულა.

✦ **გუკასოვის დასაფლავება.** 5 იანვარს ვერის დაღმართზე მომხდარ უბედურების ერთი მსხვერპლი მე-2 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე გუკასოვი გუშინ, 8 იანვარს დაკრძალეს. დასაფლავებას დაესწრნენ ქალაქის თავის მოადგილე ალ. ი. ხატისოვი, პოლიცმეისტერი, ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი და მრავალი პოლიციელი. პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა და შეაქო განსვენებული გუკასოვი. ბოქაულის თანაშემწეს შეეძლო გადმოხტომა და თავის შველაო, სწერს პოლიცმეისტერი, მაგრამ იგი დარჩა ვაგონზე, რომ ვატმანს დახმარებოდა

✦ **რიგი ნაძალადეველებისაგან მიწების გამოსყიდვის შესახებ.** ტფ. ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა რიგი ნაძალადეველების მიერ საიჯარო ადგილების მიწების გამოსყიდვის შესახებ და დაადგინა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად. იმ რიგით ადგილების გამოსასყიდვის უფლებით სარგებლობენ ის მოიჯარადრენი ნაძალადევსა და ლოტკის გორისა, რომელნიც ქალაქთან ხელშეკრულებებს დასდებენ 1910 წლის 1 ივლისამდე, გარდა იმ პირებისა, რომელთაც ხელ-შეკრულების ვადა გაუთავდათ და არ განაახლებენ 1910 წ. 1 ივლისამდე, და ისინიც რომელნიც დარჩენილ გადასახადებს არ გადაიხდიან იმავე ხნის განმავლობაში. ადგილების გამომყიდველებს გამოსყიდვის უფლებით შეუძლიანთ ისარგებლონ 1910 წლის 1 იანვრიდან 6 წლის განმავლობაში უკანასკნელ ვადად ფულის შესატანად ითვლება 1916 წლის 1 იანვარი. ამ ხნის განმავლობაში ვინც არ შეიტანს ქალაქის კასაში მთელს ფას გამოსასყიდ მიწებისას, ჰკარგავს უფლებას მიწის გამოსყიდვისას. მიწის მთელ ღირებულობის გასტუმრება მოიჯარადრეებს ნაწილ ნაწილ შეუძლიანთ 6 წლის

განმავლობაში თორმეტ ვადაზე. თუ ერთს ნაწილს ვადაზე შეტანილ ფულისას ვინმე დროზე კასაში არ შეიტანა, იგი დაჰკარგავს გამოსყიდვის უფლებას, და წინად შეტანილი ფული მოიჯარადრეს ჩაეთვლება წარსულ წლების საიჯარო გადასახადი. ყველა ხარჯი ნასყიდ ადგილების დასამტკიცებლად უნდა იკისროს მყიდველმა იმ დღიდან, როდესაც ქალაქის კასაში შეტანილი იქნება პირველი ნაწილი გამოსასყიდ ფულისა, შესწყდება გადახდა საიჯარო ფულისა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადგილისა მყიდველს 9% გადახდება ფულის სრულიად გასტუმრებამდე.

✦ **გამომძიებლის განცხადება.** საგანგებო საქმეთა გამომძიებელი რუსანოვი აცხადებს: „თხოვ ყველა იმ პირთ, რომელნიც 5 იანვარს ვერის თავდაღმართზე ტრამვაის ვაგონის დაღუპვას დაესწრნენ, შემატყობინონ თავიანთი გვარი და სახელიო“.

✦ **„პრიკაზის“ ლიკვიდაცია.** „ზაკ.“ სიტყვით ნამესტნიკის კანცელარიას პეტერბურგიდან ბრძანება მოსვლია, რაც შეიძლება მალე მოახდინეთ „პრიკაზის“ ლიკვიდაცია და მისი საქმეები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებას გადაეცითო.

**„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უმანკო ცრემლები“—ცვარიხა; ლექსი გრიშაშვილისა; სურათები: „მადონნა“—ბოდენჰაუზენისა; რუქა კახეთში ახლად დასახლებულ ადგილებისა; ტყუპი დები და კარიკატურა.**

✦ **თავდასხმა.** სურამიდან გვატყობინებენ: 5 იანვარს, საღამოს შვიდ-ნახევარ საათზე 4-5 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა აქაურ მცხოვრებს ებრაელს დათა ჯანაშვილს. ბოროტგანმზრახველებმა ჯანაშვილს 600 მანეთი მოსთხოვეს. შეშინებული ჯანაშვილი გაიქცა საპოლიციო სამმართველოში. გზაში შეხვდა სამი სტრაჟნიკი, რომელნიც მისაშველებლად გაეშურნენ. ბოროტ-განმზრახველებმა სტრაჟნიკებს სროლა აუტეხეს. დასჭრეს სამთავე. ერთი დარაჯი, სახელდობრ ალექსი ხეთაგური იქვე გარდაიცვალა, მხოლოდ ორი—მამედ-ალი ნაკაშიძე და კეიდერ ბერიძე—უკანვე გამოიქცა ბოროტ-განმზრახველებმა ვერაფერი წაიღეს და გაიქცნენ. მალე პოლიცია გაჩნდა, მაგრამ გვიან-ღა იყო. სურამში ჩამოვიდა ამისათვის მაზრის უფროსი თავ. ვახვახიშვილი.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრება.** ამ ჟამად მოსკოვში სრულიად რუსეთის ბუნების-მეტყველთა და ექიმთა კრებაა. კრებას დაუდგენია, შემდეგი მორიგი კრება 1911 წელს ტფილისში გამართოს.

✦ **ეგზეკუცია.** „ზაკავ.“ სოფელ ერთაწმინდიდან ატყობინებენ: ვიღაც ბოროტგანმზრახველებმა გლეხ თათხაშვილს გადაუწვეს საბძელი. თათხაშვილმა მაზრის უფროს აცნობა ყველაფერი. მაზრის უფროსმა ბრძანება გასცა, სანამ ბოროტ-განმზრახველი აღმოჩნდებოდეს, ერთაწმინდაში 12 ყაზახი ჩააყენეთო. ამრიგად, ისედაც გაძვალ-ტყავებულ ხალხს 12 ყაზახი სარჩენად მოახვიეს.

✦ **ქუთაისის გუბერნიის დათვალიერება.** კავკასიის ნამესტნიკის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე სენატორი ვატაცი 6 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა. ვატაცი დაათვალიერებს შორაპანს, ჭიათურას, ფოთს, სამტრედიას, ხონს და ქუთაისს.

✦ 7 იანვარს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: დიტრიხის ლუდის სახდელ ქარხანასთან, მტკვრის პირად, ნახეს გვამი ტფ. მცხოვრების ნიკოლოზ ჟაბინისა (75 წ.), რომელიც უეცრად გარდაცვლილა. 7 იანვარს ბარონის ქუჩაზე გორის მაზრის მცხოვრებმა იაკობ ჯანაშვილმა მოჰპარა ედიგაროვს ავტომობილის გადასაფარებელი და უნდოდა გადამალვა, მაგრამ დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. ამავე დღეს დააპატიმრეს საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლებულნი ხერატელი ამბარცუმიანცი, მექისე, და ქართლის მცხოვრები ივანე კონსტანტინეს ძე ფურცელაძე, ასოთ-ამწყობი, რომელნიც თავიანთ ნებით დაბრუნებულან. შერემეტიევის ქუჩაზე მცხოვრებმა 18 წლის გასათხოვარმა ქალმა ბარბარე ოჰანეზოვმა რაღაც გამოურკვეველ მიზეზისა გამო ნიშადურის სპირტი დალია და თავი მოიწამლა. მოწამლული საავადმყოფოში გაჰგზავნეს. ქალის მორჩენა ექიმის შემოწმებით საეჭვოა. 7 იანვარს, საღამოს ცხრა საათზე, მიხეილის პროსპექტზე გაუფრთხილებლობისა გამო მეეტლე ივანე ხლისტოვმა ეტლით გადაიარა ვასილ სოდიევზე, რომელიც ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნა. 7 იანვარს პოლიციის მე-4 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში საინტერესო წარმოდგენაა. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პიესა „შეშლილია“. ამას გარდა მოხდება გასაჰართლება ა. ყაზბეგის მოთხრობის „მოძღვარის“ მოქმედ პირებისა.

---

**ქუთაისი.** გაჭედილი სათეატრო დარბაზი, მხიარული ჟივილ-ხივილი, სადღესასწაულოდ მორთული საზოგადოება, აუარებელი ხალხი გარედ თეატრის კასის გარშემო, რომელიც უადგილობისა გამო ამაოდ სცდილობდა დარბაზში შესვლას,—აი სურათი, რასაც წარმოადგენდა ქართული თეატრი ოთხშაბათს, 6 იანვარს.

ყოველსავე ამას თავისი საპატიო მიზეზიცა ჰქონდა. ჩვენი სცენის დამამშვენებელი მსახიობი ნინა ჩხეიძე თავის სასცენო ხელოვნებას დღესასწაულობდა. თავის ბენეფისში იგი საზოგადოების წინაშე „მარგარიტა გოტიეს“ როლში გამოვიდა. ეს პიესა ბევრჯერ უნახავს ჩვენ საზოგადოებას, და იმ დრომდე სანამ მარგალიტას გამაპიროვნებელი ჩვენს სცენაზე ნ. ჩხეიძის მსგავსნი გვეყოლებიან, მუდამ სასიამოვნო მოსასვენი იქნება იგი. მობენეფისის გამოსვლას საზოგადოება დიდის აღტაცებით, ხოლო მუსიკა „მრავალჟამიერით“ მიეგება.

მეორე პასუხსაგები როლი პიესაში არმანის როლია, რომელსაც ბ-ნი ა. იმედაშვილი ასრულებდა. ალაგალაგ დრამატიულ სცენებში მსახიობი სუსტი გვეჩვენა ჩვენა გვგონია მსახიობი იმდენად ვერ მოღონიერებულა ჯერ-კ დევ, რომ მძიმე სცენები ძალდაუტანლებლად, თავისუფლად შეასრულოს.

დანარჩენი როლები, თითქმის ყველა, პაწიაა. საზოგადოდ ბევრს ჩვენი სცენის მსახიობს და თვით მეორე ხარისხოვან მოთამაშეთ ერთგვარი თვალსაჩინო ნაკლი აქვთ. თუ როლი თვითონ არ მოეწონათ უმნიშვნელოდ და პაწაად მიაჩნიათ, მათ თამაშს ცხადი გულგრილობა ეტყობა. ეს გარემოება-კი მეტად შემასუსტებელია საერთო მთლიანობისა და შთაბეჭდილებისა. როდესაც ნიჭიერი მსახიობი პაწია როლში გამოდის ხოლმე, აქ სათაკილო არაარის რა, რადგან შეუძლებელია პიესა-კი ყველა როლი პირველხარისხოვანი იყოს. უფრო სათაკილო ის იქნება, რომ ეს პაწია როლიც ჩაფუჩეჩდეს. მაგალითი ისევ რეჟისორისაგან ავიღოთ. წრევანდელს სეზონში ხშირად გამოსულა ბ-ნი გუნია სცენაზე სულ უმნიშვნელო როლებში „სტატისტადაც“-კი, როდესაც პიესაში თავისი შესაფერი როლი არა ჰქონია, მაგრამ ამითი მსახიობი ოდნავაც არ დამცირებულა, სამაგიეროდ თამაშობას ღირსება შეჰმატებია, მაყურებელთ სიამოვნება.

ოთხშაბათს წარმოდგენამ გვაიძულა, ეს აღგვენიშნა. მართალია, პიესამ საერთოდ რიგიანად ჩაიარა, მაგრამ თუ კერძოდ ზოგიერთ თამაშს გავყვებით კვალდაკვალ საკმაო დეფექტებს აღმოვაჩენდით, რაიცა თავის თავად გასწორდებოდა, რომ მეტი ყურადღება მიექციათ „წვრილმანებისათვის“.

გარეგანი მხარე წარმოდგენისა მშვენიერი იყო. დეკორაციები, სცენის მოწყობილობა დროისა და მდგომარეობას შესაფერი.

ბოლო სურათი ბევრს მოიგებდა, რომ ქ-ნ ურბნელს თავისი ყინვასავით ცივი ხმით ან მძიმე სურათში დისსონანსი არ შეეტანა, როდესაც იგი მომაკვდავ მარგარიტასთან შემოდის ფულის სათხოვნელად. ამ მსახიობის ერთგვარი ცივი კილო დრამატიულ სცენის ყელის გამომჭრელია. ექიმი ბ-ნი კორიშელი ჯიბეებში ხელჩაწყობილი ქანდაკებისავით იდგა ავადმყოფის წინაშე. მარგარიტას ასეთი ბოლო ყველას აღონებს. ნუ თუ ექიმს სიბრალულის გრძნობა არ უნდა ეწვიოს, მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ექიმია?!

**ჯაფარ-ფაშა.**

## შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვა.**

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ იოკაჰამიდან: იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა პარლამენტში ამერიკის პროექტზე და აღნიშნა, რომ ამერიკა თავის მოქმედებით ხელს უშლის იაპონიას თავის გამარჯვების ნაყოფით ისარგებლოსო.

**იაპონურ პრესის აზრი ამერიკის პროექტზე.**

ოფიციოზური იაპონური გაზ. „კოკუმინ“-ი ჰფიქრობს, რომ ამერიკის წინადადება მანჯურიის რკინის გზათა ნეიტრალიზაციის შესახებ ვერ განხორციელდებაო. ამერიკა მალე დარწმუნდება ამაში და უკან წაიღებს თავის პროექტსაო.

როგორც დეპეშებიდან უკვე ვიცით, გავლენიანმა იაპონურმა გაზეთებმა ყველამ მტრულად შეხედეს ამერიკის წინადადებას. იაპონური გაზეთები აღნიშნავენ: იაპონია რომ დასთანხმდეს ამ პროექტს, იგი ვერ მიიღებს საკმაო სამაგიერო კმაყოფილებას და ამასთანავე სამხრეთ მანჯურიაში დასახლებულ იაპონელების ინტერესები საკმაოდ უზრუნველყოფილ არ იქნებაო; ამერიკის პროექტი პირდაპირ იაპონიის წინააღმდეგაა მიმართული და ამიტომ ჩვენმა მთავრობამ გადაჭრით უნდა უარჰყოს იგიო.

**უცხოეთის პრესის აზრი ამავე პროექტზე.**

ვენური გაზ. „ნოიე ფრეიე პრესე“ ამბობს, რომ ამერიკის პროექტი მეტად სერიოზული და მარჯვე დიპლომატიური ფანდიაო. ამერიკა ამ პროექტით ჰფიქრობს განთავისუფლდეს რუსეთის გავლენისგან ჩრდილოეთ მანჯურიაში, ხოლო იაპონიის გავლენისგან—სამხრეთ მანჯურიაში და მთელს მანჯურიაში აღადგინოს ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში შერყეული გავლენა და სახელი ჩინეთისა. ცხადია, რომ ამერიკის წინადადება შედგენილია ჩინეთის თანხმობით, მაგრამ იგი სასარგებლოა თითონ ამერიკის ინტერესებისთვისაც. თუ პროექტი განხორციელდება, ამერიკის საქონელი უფრო მარჯვედ გაუწევს ცილობას რუსეთის და ნამეტნავად იაპონიის საქონელს... ამერიკის მთავრობას სურს ჩინეთის მთავრობას უშველოს მანჯურიის რკინის გზების დაბრუნება. თუ ეს პროექტი განხორციელდება, რუსეთისა და იაპონიის ბატონობას მანჯურიაში ბოლო მოეღება. ამიტომაა, რომ იაპონური პრესა ერთხმად უარჰყოფს ამ პროექტს. ჯერ კიდევ ძნელი გამოსაცნობია, როგორ შეხვდებიან პროექტს სხვა სახელმწიფოები, მეტადრე ინგლისი, რომელიც იაპონიის მოკავშირეა და ამავე დროს რუსეთის მეგობარი. ამერიკა, რომლის აზრითაც ჩინეთის შეთანხმება რუსეთთან და იაპონიასთან ეწინააღმდეგება „ღია კარების“ პოლიტიკას, თავის ახალ წინადადებით ხაზ-გასმით აცხადებს, რომ იგი უცვლელად მისდევს თავის ძველ პოლიტიკას. ამერიკა უეჭველ შემთხვევაში ახალის პროექტით დაიმსახურებს ჩინეთის თანაგრძნობას და რანაირადაც უნდა დატრიალდეს ამ პროექტის ბედი, ჩინეთი ამას იქით დიდ დახმარებას აღმოუჩენს ამერიკის ეკონომიურ ინტერესებს.

გერმანულ გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგის“ აზრით, ამერიკის პროტესტს მეტად დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. პროექტის ავტორი—ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრი ნოქსი მეტად მხნე მოღვაწე გამოდგა. ამ პროექტს გარდა, ნოქსმა კიდევ სხვა ბევრი პროექტი შეადგინა რთულ პოლიტიკურ საქმების გადასაწყვეტად. ნოქსს უთქვამს, რომ რუსეთი, იაპონია, ჩინეთი და გერმანია თანაგრძნობით შეხვდებიან ჩვენს პროექტსაო; ეს მეტად ოპტიმისტური აზრია და სრულიად არა მართლდება ფაქტებით. ის აზრი, ვითომ იაპონიაც ადვილად დასთანხმდება ამერიკის პროექტს, ხომ მეტის მეტად ახირებულია. იაპონია გინდ დასთანხმდეს როგორმე ამ პროექტს, უთუოდ ბევრს რასმე მოთხოვს სამაგიეროდ და თავის ინტერესების უზრუნველსაყოფელად.

მეორე გერმანული გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“ იც ეჭვობს, რომ იაპონია დასთანხმდეს ამერიკის პროექტს: რომ დასთანხმდეს, მაშინ იაპონიას დაეკარგება სერიოზული სტრატეგიული უპირატესობა, რომელიც ეხლა ხელთ აქვს და რომლის სამაგიეროს მიცემა თითქმის შეუძლებელია.

ინგლისურ გაზ. „ტაიმს“-ის აზრით, ამერიკის პროექტი მეტად ძნელი ასასრულებელია. გაზ. სწერს:

ესპანია-ამერიკის ომის შემდეგ ამერიკას საოცრად დიდი ინტერესები გაუჩნდა შორეულ აღმოსავლეთში. ადვილი გასაგებია იმიტომ, რომ ამერიკა მეჯითად ცდილობს შორეულ აღმოსავლეთში მკვიდრი მშვიდობიანობა უზრუნველჰყოს და სახელმწიფოთა ეკონომიური ცილობა შეამციროს. ნოქსმა რომ როგორმე მოახერხოს ამ მეტოქეობის შესუსტება, იგი დიდ სამსახურს გაუწევს საერთაშორისო დიპლომატიას. თუმცა მის პროექტის დაფასება ჯერ-ჯერობით ძნელია, რადგან იგი ჯერ დაწვრილებით არა გვაქვს გამოცნობილი, მაგრამ ეხლავე შეგვიძლიან იმის თქმა, რომ იგი ძნელი შესასრულებელია: მანჯურიის რკინის გზების გამოსყიდვას იმდენად ბევრი ფული დასჭირდება, რომ თვით ოთხ უმდიდრეს სახელმწიფოებსაც-კი: ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და გერმანიასაც გაუჭირდებათ ეს საქმე. ჩვენ არ გავაზვიადებთ ყველა დაბრკოლებას, რომელიც-კი აღმოაჩნდება იმ დიდ პროექტის განხორციელების დროს, რომელსაც ჩვენი ამერიკელი ბიძაშვილები ეძახიან „საქმიან წინადადებას“, გრ ამ მაინც უნდა გამოტეხით ვსთქვათ, რომ მათ დიდებული და მარტივი პროექტი შეადგინეს, ეგაა ანგარიში ადარ გაუწიეს მანჯურიაში საქმეთა რეალურ მდგომარეობას“.

## მოგებათა ტირაჟი

პირველ მომგებიან სესხს ტირაჟის დროს ფული მოიგეს შემდეგმა ნომრებმა:

| მოგებულ თანხ-ები | N N სერიისა | NN ბილეთისა | მოგებულ თანხ-ები | N N სერიისა | NN ბილეთისა |
|---|---|---|---|---|---|
| 200,000 | 18702 | 36 | | 7399 | 18 |
| 75,000 | 828 | 16 | | 15104 | 24 |
| 40,000 | 7545 | 14 | | 5395 | 19 |
| 25,000 | 1124 | 5 | | 7661 | 3 |
| 10,000 | 11554 | 12 | | 438 | 28 |
| 10,000 | 3910 | 36 | | 10993 | 6 |
| 10,000 | 16083 | 1 | | 17507 | 41 |
| 8,000 | 2742 | 16 | | 12468 | 28 |
| 8,000 | 16952 | 21 | | 11338 | 22 |
| 8,000 | 994 | 36 | | 18856 | 12 |
| 8,000 | 16166 | 15 | | 10963 | 13 |
| 8,000 | 13858 | 18 | | 7380 | 23 |
| 5,000 | 19364 | 5 | | 7714 | 27 |
| 5,000 | 4303 | 29 | | 13930 | 21 |
| 5,000 | 14776 | 32 | | 10854 | 22 |
| 5,000 | 17934 | 41 | | 4783 | 36 |
| 5,000 | 17802 | 26 | | 1396 | 43 |
| 5,000 | 7382 | 25 | | 6262 | 34 |
| 5,000 | 4306 | 2 | | 6852 | 34 |
| 5,000 | 3768 | 14 | | 11091 | 45 |

ხუთას-ხუთასი მანეთი მოიგეს შემდეგმა ნომრებმა:

სერიის № 16690 ბილეთისა № 18, 11799—8, 6418—2, 3699—38, 7716—17, 17304—47, 11065—16, 17749—45, 15470—49, 7061—39, 9826—10, 13774—31, 6985—28, 15142—12, 6217—16, 9244—30, 4062—12, 12851—34, 8305—5, 19372—46, 13057—7, 14259—32, 17127—17, 14980—32, 11527—1, 6360—8, 19728—22, 4548—36, 2789—19, 9097—19, 1909—1, 9722—21, 7487—10, 10320—16, 1443—11, 1155—1, 11622—4, 11209—37, 15211—21, 1410—28, 2630—37, 14676—17, 287—21, 17475—27, 11465—23, 5896—11, 19183—40, 19395—26, 336—41, 2990—29, 14554—33, 5262—43, 7001—13, 9210—26, 11079—29, 10744—47, 4795—40, 8254—12, 208—26, 14297—37, 197—8, 16142—5, 1728—22, 5508—22, 19581—33, 3569—46, 18645—15, 12248—45, 6288—10, 5250—50, 14103—23, 14825—9, 65—7, 9782—3, 14634—10. 15439—16, 4816—15, 10768—41, 19190—33, 17843—23, 16841—9, 3565—30, 17889—4, 10358—38, 5283—23, 2720—14, 10543—10, 17132—47, 3707—48, 18290—11, 11336—22, 7062—19, 14838—27, 14636—32, 9733—29, 5491—35, 9615—49, 3707—16, 13921—42, 11257 19, 13137 - 29, 10267 - 29 3448-7, 12043-6, 5725 41, 7051-23, 12286—36, 14056—5, 15607—5, 871—46, 17162—28, 9158—23, 10271—34, 10706—32, 4421—48, 2000—44, 16627—18, 18161—17, 3052—6, 3690—50, 6770—44, 18485—39, 17992—16, 9596—32, 14103—32, 5420—39, 4082—30, 96—16, 18530—47, 9720—36, 11174-18, 17201-38, 4087-40, 18127—47, 16852-37, 4988-6, 8456-10, 19372—8, 19999—19, 14394—26, 8810—15, 13617—47, 15917—40, 3354—41, 13494—4, 15199—30, 8951—45, 19604—24, 16345—26, 12945—35, 4803—16, 1583—6, 7742—23, 14554—46, 10445—29, 294—17, 18005—34, 17997—3, 16237—4, 6056—17, 12449—13, 14418—47, 10464—9, 12242—6, 12119—9, 17502—50, 5322—12, 2347—42, 2141—2, 9355—39, 15111—39, 5976—48, 14396—3, 6564—46, 16466—49, 17112—10, 13018—6, 15342—47, 8947—26, 16499—11, 18191—28, 3737—9, 6500—33. 1471—33, 6947—46, 2948—7, 18222—1, 16107—48, 8780—2, 17563—4, 16854—21, 9430—10, 1351—44, 9019—28, 4745—18, 9180—5, 1638—19, 343—41, 7435—18, 4589—18, 7825—40, 14147—19, 17015—43, 15021—29, 14165—9, 8378—13, 18127—23, 1705—19, 6971—37, 10311—20, 6492—27, 4785—18, 9811—44, 14892—31, 10544—18, 9803—1, 11770—48, 3867—3, 10651—35, 743—14, 12802—48, 17075—13, 2—42, 16232—3, 2294—46, 2283—28, 3442—39, 10688—47, 5005—25, 6014—3, 8482—41, 6213—49, 12789—20, 6226—24, 16821—48, 16853—1, 4130—16, 19137—12, 10620—46, 5754—6, 16860—37, 11189—36, 7866—10, 7144—23, 11225—27, 11089—12, 11902—46, 4057—12, 9613—14, 17645—10, 13674—3, 16449—10, 15412—28, 3503—17, 1175—47, 9637—33, 17176—16, 8663—1, 5669—21, 17903—7.

ტირაჟში გამოვიდა შემდეგი სერიები: 8930, 10583, 4969, 13285, 11442, 19435, 9406, 16487, 7793, 17613, 12769, 11708, 8346, 17141, 6536, 18453, 10339, 10102, 1820, 13951, 4493, 4272, 16499, 15574, 4674, 10580, 1974, 1006, 7481 15638, 19330, 3376, 1584, 3976, 2231, 9663, 2458, 3346, 17710, 1770, 14902, 17976, 6674, 15771, 9265, 699, 6563, 4364, 362, 7521, 9179, 1335, 16178, 2335, 8921, 3663, 19008, 10122, 11366, 8368, 17400, 7508, 1911, 4520, 3820, 36, 2377, 2043, 1797, 10547, 14005, 112, 1927, 1621, 5248, 6073, 19932, 17844, 7261, 19910, 14182, 18794, 17966, 4847, 931, 315, 7211, 13571, 9440, 4049, 3891, 5706, 9110, 8242, 13303, 19267, 7653, 2179, 6372, 16551, 8854, 12659, 6169, 15294, 15601, 6340, 6944, 6500, 5791, 6329, 19764, 18850, 19416, 4571, 10852, 892, 14970, 11800, 11499, 10757, 13100, 5630, 9771, 13335, 15330, 12911, 4034, 1934, 4732, 18469, 13136, 6150, 16097, 14780, 11840, 7536, 5417, 7609, 8828, 16108, 1787, 4592, 8947, 19207, 19419, 9398, 3934, 6685, 9152, 8243, 18936, 3998, 6062, 1773, 11345, 6970, 3630, 7312, 11711, 15529, 12938, 8994, 4624, 6103, 13690, 11450, 19702, 6367, 15292, 18076, 3393, 15959, 8957, 4813, 19284, 5114, 14236, 17357, 14980, 15455, 18218, 3431, 4312, 14706, 19552, 17918, 769, 5488, 6087, 13888, 5443, 4073, 14026, 6586, 17507, 13989, 18037, 10026, 12832, 19363, 2510, 16003, 11538, 18840, 14675, 9697, 15604, 12545, 4524, 13293, 10288, 14368, 1055, 2665, 4114, 748, 16890, 415.


## განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღიზმაზათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—36)

კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უღებს დღე, გვირგებს გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ა. ნაზანოვი:** 10—11 ს. საბეზიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ბ. ა. ავეტიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ა. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**თ. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

ს ა ღ ა მ ო თ ი თ:

**თ. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ.—1—248)

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
**ნ. ბარათაშვილის**
**სრული ლექსთა**
**კრებული**
ბიოგრაფიულის ცნობებით.
ფასი 10 კაპ.
(5—6.—4)

**იაფი შემოწმებული საათი**
შეიძლება იყო ოთ მხოლოდ
**ა. გოლდ-შტეინთან**
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ვერცხლის და ოქროს ნივთები სულ იაფად.



(10—ხალ.—8)